01.10.2014

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები

2013 წელი

(შედარებები გაკეთებულია ფაქტობრივ ფასებში)

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ, ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფებიან თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად იღებენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. ისინი შემოსავლებს იღებენ აგრეთვე ორგანიზაციის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლება.

2013 წელს მაჩვენებელთა ცვლილება წინა წელთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია განათლების დარგში არსებული უმაღლესი სასწავლებლების (თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი და ა. შ.) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილებით, რომლის შედეგადაც ისინი არაკომერციული ორგანიზაციების სექტორიდან გადავიდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სექტორში.

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2013 წელს არაკომეციული ორგანიზაციების სექტორის ბრუნვის მოცულობამ - დამხმარე კომერციული საქმიანობიდან – 123,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 37,7 პროცენტით ნაკლებია (იხ. გრაფიკი №1).

გრაფიკი №1



ბრუნვის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდის განათლების დარგის დაწესებულებებზე (39,2 პროცენტი), აგრეთვე კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევისა (30,6 პროცენტი) და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგის ორგანიზაციებზე (18,0 პროცენტი).

ბრუნვის მოცულობის ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება განათლების დარგზე მოდის (60,9 პროცენტით). აღნიშნული მაჩვნებლის შემცირება დაფიქსირდა აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების (33,9 პროცენტით) და სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის დარგში (45,6 პროცენტი).

ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 5-ჯერაა გაზრდილი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში; 2,8-ჯერ - ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის დარგში; 4,7 პროცენტით - კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგში; ბრუნვა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი აგრეთვე საფინანსო საქმიანობის დარგში.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების მოცულობამ არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში 2013 წელს 746,6 მლნ ლარი შეადგინა (აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 8,0 პროცენტით).

პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის (52,4 პროცენტი), განათლებისა (26,2 პროცენტი) და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგის (16,1 პროცენტი) ორგანიზაციები.

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2013 წელს 65,7 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 63,7 პროცენტი ქალია, ხოლო 36,3 პროცენტი კაცი. აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელთან შედარებით 20,7 პროცენტითაა შემცირებული (იხ. გრაფიკი №2).

გრაფიკი №2



დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი – 49,4 პროცენტი – განათლების დარგის ორგანიზაციებზე მოდის, 37,0 პროცენტი - კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგის ორგანიზაციებზე, 9,7 პროცენტი - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგის ორგანიზაციებზე, ხოლო დანარჩენი 3,9 პროცენტი სხვა დარგებში ნაწილდება.

დასაქმებულთა რაოდენობის, ისევე როგორც სხვა მაჩვენებლების შემცირება ფიქსირდება განათლების (32,2 პროცენტით) დარგში, რომლის მიზეზებიც უკვე იქნა განხილული.

დასაქმებულთაგან დაქირავებულია 65,0 ათასი (მათ შორის ქალია 63,9 პროცენტი). დაქირავებულთა რაოდენობა 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 20 პროცენტით.

წყარო: არაკომერციული ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გოგიტა თოდრაძე, ტელ: 236 72 10 (200), E-mail: gtodradze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge